პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— მარტი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო გასასვლელისთვის კედარის III და IV გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან არსებულ ორ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს კედარის III და IV გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


1:600
X=476659 Y=4621663
ქედარის IV გას
X=476653 Y=4621635
ქედარის III გას
X=476718 Y=4621608
X=476716 Y=4621599

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

06 / მარტი / 2026 წ. 06-032606511 5-03

KA011716968277926

№ **46884**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

მოგახსენებთ, რომ 2026 წლის 4 მარტს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტოს") წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის № 14-01260634553 წერილი (სააგენტოს დოკუმენტბრუნვის პროგრამაში რეგისტრაციის ნომერი № 60843/17), კედრის ქუჩაზე, შესახვევსა და გასასვლელებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების ნუმერაციის სიტუაციური რუკის სახით ინფორმაციის მიწოდებაზე.

აღნიშნული წარმოების ფარგლებში მონაცემების შესწავლისას დადგინდა, რომ კედრის ქუჩის მიმდებარედ დარჩენილია უსახელო მონაკვეთები (იხ. დანართი).

მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სააგენტოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სამისამართო ობიექტების (მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა) ნუმერაცია, ისევე, როგორც სამისამართო რეესტრის წარმოება. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, ნომრის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სამისამართო ობიექტი განთავსებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით სახელდებული ქუჩის მიმდებარედ.

„საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 20^2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად - „დაუშვებელია იმ გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაცია, რომელიც არ არის სახელდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით". აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032606938**
თარიღი: **10/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2026 წლის 06 მარტის საქმე #06-0326065115-03 დაკავშირებით, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის მიმართვის საფუძველზე მოთხოვნილია კედარის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ საბურთალოს რაიონში, კედარის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო გასასვლელის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01260703794**
თარიღი: **11/03/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 10.03.2026 წლის # 03-032606938 (10.03.2026წ. #14-01260693738-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი